ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ია გაბედავა

კოლეგიის წევრი: არჩილ ჩოფიკაშვილი

კოლეგიის წევრი: ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: ნ. მ.

საჩივრის ეთიკის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 120/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ი.-ს მიმართ /სიითი№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ი.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 24 აგვისტოს მომართა საჩივრის ავტორმა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ნ. ი.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 25 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა კომისიას წარუდგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 2017 წელს ადვოკატმა ფ. ს.-მ საჩივრის ავტორის საქმე გადააბარა ადვოკატ ნ. ი.-ს, რომელსაც წარმომადგენლობა უნდა განეხორციელებინა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. მ.-ს მოპასუხეების - ა. ა.-ს და შპს „ნ.-ის" დირექტორის მიმართ. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ი. სამჯერ არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის შემდგომაც, საჩივრის ავტორს მოულოდნელად განუცხადა, რომ წყვეტდა მასთან ურთიერთობას და გადასცა საქმის

მასალები, მათ შორის დაზუსტებული სარჩელი და ხელწერილი, იმის თაობაზე, რომ ის ვეღარ განახორციელებდა მის წარმომადგენლობას.

1.3 ადვოკატმა ნ. ი.-მ მომდევნო სასამართლო სხდომის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე შეწყვიტა მასთან ურთიერთობა და დატოვა წარმომადგენლობის გარეშე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ხელი მოაწერა ნ. ი.-ს მიერ გადაცემულ დაზუსტებულ სარჩელს, თუმცა მის შინაარს არ გასცნობია, რადგან ამისთვის საკმარისი დრო არ იყო.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლო სხდომაზე, როდესაც უკვე ნ. ი. აღარ წარმოადგენდა მის ინტერესებს, მოსამართლემ ბაზრის დირექტორს განუცხადა „დატოვეთ დარბაზი, არ ხართ დამნაშავე, ამოღებულია თქვენი საქმეო“. აღნიშნული სხდომა გაიმართა 2018 წლის 25 იანვრის შემდეგ. ნ. მ.-ს განმარტებით, ადვოკატ ნ. ი.-ს სარჩელში უნდა ჰქონოდა მითითებული ბაზრის დირექტორი, თუმცა არ ჰქონდა მითითებული და "აღნიშნული საქმიდან ამოიღო".

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 11 ოქტომბერს ადვოკატმა ნ. ი.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ადვოკატმა ფ. ს.-მ სთხოვა გაეწია ნ. მ.-სთვის საადვოკატო მომსახურება სამოქალაქო საქმეზე, რომლის განხილვაც მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და იყო მოსამზადებელი სხდომა. აგრეთვე, ადვოკატი ნ. ი. უნდა გასცნობოდა საქმის მასალებს და საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის არქივში დაცულ ყველა მასალას და თუ საქმე მისცემდა შესაძლებლობას, უანგაროდ გაუწევდა იურიდიულ მომსახურებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ფ. ს.-სგან მისთვის ცნობილი იყო, რომ სასამართლოში წარსადგენი იყო დაზუსტებული სარჩელი მოსამართლის მიერ განსაზღვრულ ვადებში. ადვოკატი ნ. ი. გაეცნო ნ. მ.-ს საქმესთან დაკავშირებულ მასალებს სრულად.

2.3 ადვოკატი საჩივრის ავტორს შეუთანხმდა, რომ ის აუცილებლად გადასცემდა მას საჯარო რეესტრში დაცულ დოკუმენტს, რითიც შესაძლებელი იქნებოდა სათანადო მოპასუხის განსაზღვრა. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული სარჩელი, სადაც მოუთითა, რომ რომ დოკუმენტს სათანადო მოპასუხის დადგენის მიზნით წარადგენდა სასამართლო სხდომაზე კანონით განსაზღვრული წესით. ნ. მ.-მ ადვოკატს გადასცა საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტები.

2.4 ადვოკატმა ნ. ი.-მ ნ. მ.-ს განუმარტა, რომ მას არ გააჩნდა სათანადო მტკიცებულებები სასარჩელო მოთხოვნის გასამყარებლად და შესაბამისად, ვერც დაეხმარებოდა, რის თაობაზეც საჩივრის ავტორს როგორც პირადად, აგრეთვე, საფოსტო შეტყობინებით აცნობა და დაუბრუნა საქმის მასალები, აგრეთვე, ამის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს და ადვოკატ ფ. ს.-ს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ნ. მ.-ს თხოვნის შესაბამისად, შეადგინა პირვანდელი სარჩელის სახით ახალი დაზუსტებული სარჩელი და გადასცა საჩივრის ავტორს, რომელიც გაეცნო მას

და ადვოკატ ფ. ს.-ს დახმარებით წარუდგინა სასამართლოს კანცელარიას. ადვოკატის განცხადებით, ნ. მ.-ს მის მიმართ პრეტენზიები არ გამოუთქვამს და განუმარტა, რომ ახალ ადვოკატს მიმართავდა იურიდიული დახმარების მიღების მიზნით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ი. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ნ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 23 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლიდან 2018 წლამდე. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ი.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. ი.-მ შეთანხმების შესაბამისად, არ გაუწია საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურება და

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 8.5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად … უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.7 ნაწილი: ,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით''.

5.2 ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურება კლიენტს გაუწიოს კვალიფიციურად. კერძოდ, განახორციელოს იურიდიული მოქმედებები შეთანხმების ფარგლებში კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კლეიტი მიმართავს ადვოკატს სწორედ მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამო და ის ანდობს თავის საქმეს იმ მიზნით, რომ ის კვალიფიციურად განახორციელებს წარმომადგენლობას და იმოქმედებს კლიენტის ინტერესების შესაბამისად.

5.3 „ადვოკატს უფლება აქვს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მან უნდა გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები და

უარის თქმა უნდა განხორციელდეს ისეთ გარემოში, როდესაც კლიენტი წინასწარ არის ინფორმირებული და აქვს შესაძლებლობა და გონივრული დრო იმისათვის, რომ მიმართოს სხვა ადვოკატს ინტერესების დასაცავად. წინასწარი გაფრთხილებით, ადვოკატი თავიდან აიცილებს აღნიშნული რეგულირების შესაძლო დარღვევას და მის კლიენტებს მისცემს საშუალებას წინასწარ მოემზადონ საკუთარი უფლებების დასაცავად სხვა ადვოკატისათვის მიმართვისათვის“ (წერილობითი რეკომენდაცია 005/14, 21 აგვისტო 2014 წელი).

5.4 განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატი ნ. ი. ნ. მ.-ს საქმეში, როგორც მისი წარმომადგენელი ჩაერთო, იმ ეტაპზე, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა მისი საქმისწარმოება მოპასუხეთა - შპს „ნ.-ის” დირექტორისა და ა. ა.-ს წინააღმდეგ. ადვოკატის მიმართ საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიების მიხედვით, ადვოკატმა „საქმიდან ამოიღო“ ნ. მ.-ს მოწინააღმდეგე მხარე შპს „ნ.-ის” დირექტორი, როდესაც მან დაზუსტებული სარჩელი წარუდგინა სასამართლოს, რის შემდგომაც, ჩატარდა სასამართლო სხდომა, სადაც მოსამართლემ „ბაზრის დირექტორი გაათავისუფლა დარბაზიდან“ და განუცხადა, რომ ის „დამნაშავე არ იყო“, საქმეში „არ იყო მითითებული“. ადვოკატ ნ. ი.-ს პოზიციიდან ირკვევა, რომ ის საჩივრის ავტორთან შეთანხმებით მოქმედებდა და სასამართლოში დაზუსტებული სარჩელი მასთან შეთანხმებით წარადგინა. საჩივრის ავტორი ადასტურებს, რომ მან მოაწერა ხელი ადვოკატ ნ. ი.-ს მიერ გადაცემულ დაზუსტებულ სარჩელს, თუმცა დროის უქონლობის გამო, ის არ წაუკითხავს.

5.5 საპროცესო კოლეგიამ საქმის გამოკვლევის მიზნით 2018 წლის 26 ოქტომბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2018 წლის 16 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ნ. მ.-ს საქმის #2/XXXX-16 მასალების გამოთხოვა. სასამართლო ორგანოებიდან ინფორმაციის მიუღებლობის გამო, კომისიამ 2019 წლის 11 თებერვალს მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომლისგანაც კოლეგიამ მიიღო ნ. მ.-ს საქმის #2/XXXX-16 მასალები.

5.6 მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ ადვოკატმა ნ. ი.-მ 2017 წლის 23 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს (საქმე #2/XXXX-16) წარუდგინა მის სახელზე 2017 წლის 22 მარტს ნ. მ.-ს მიერ გაცემული მინდობილობა და წერილობითი შუამდგომლობა, მისცემოდა გონივრული ვადა - 14 დღე საქმის მასალების გაცნობის და დაზუსტებული სარჩელის წარდგენის მიზნით (შუამდგომლობა - ს.ფ.159).

5.7 2017 წლის 10 აპრილს ადვოკატმა ნ. ი.-მ გამოითხოვა ნ. მ.-ს საქმესთან დაკავშირებული მასალები და გადაიღო ასლები (ს.ფ. 154). 2017 წლის 19 აპრილს ადვოკატმა კვლავ მიმართა სასამართლოს და დამატებით მოითხოვა 05 დღის ვადა საქმის მასალების გაცნობის და დამატებითი საბუთების მოძიების მიზნით (შუამდგომლობა - ს.ფ. 165). 2017 წლის 02 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს წარედგინა ნ. მ.-ს სარჩელი იმავე საქმესთან დაკავშირებით (საქმე #2/XXXX-16), სადაც მოპასუხე მხარედ მითითებულია ა. ა., მესამე პირად შპს “ნ.-ის დირექტორი”, მოცემულ სარჩელს ხელს აწერს ნ. მ. (ს.ფ. 166). 2017 წლის 02 მაისს სასამართლოს კანცელარია დაუკავშირდა ადვოკატ ნ. ი.-ს და აცნობა, რომ სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და უნდა ჩაებარებინათ მოპასუხესთვის (სასამართლო აქტი - ს.ფ. 207). 2017

წლის 24 ნოემბერს მოსამზადებელ სხდომაზე ნ. მ.-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სხდომის გადადების თაობაზე, სხდომის გადადებას დათანხმდა მოპაუხე მხარეც (მოსამზადებელი სხდომის ოქმი - ს.ფ. 228). 2017 წლის 27 ნოემბერს ნ. მ.-ს ეცნობა სასამართლო სხდომის თარიღი - 2018 წლის 31 იანვარი (სასამართლო უწყება - ს.ფ.232).

5.8 თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი, სადაც მესამე პირად მითითებულია შპს "ნ.-ის დირექტორი" ხელმოწერილია ნ. მ.-ს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, იმისა, რომ ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად იმოქმედა და საქმესთან დაკავშირებით, მოპასუხეთა წრე დამოუკიდებლად კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ განსაზღვრა.

5.9 თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი საქმის მასალების მიხედვით, არ დასტურდება ის გარემოება, რომ მოსამართლემ დარბაზიდან გაათავისუფლა ნ. მ.-ს მოწინააღმდეგე მხარე - შპს „ნ.-ის" ბაზრის დირექტორი და განუცხადა, რომ ის „დამნაშავე არ იყო". ნ. მ.-ს ადვოკატ ნ. ი.-სადმი წარმოდგენილი პრეტენზიიდან ირკვევა, რომ ადვოკატის ბრალეულობის შედეგად დაზიანდა მისი ინტერესები, ვინაიდან, მან საქმეში არსებულ მოპასუხეთა წრიდან ამოიღო შპს „ნ.-ის" დირექტორი და აღნიშნულის გამო, მოწინააღმდეგე მხარე გაამართლეს. კოლეგია განსახილველ შემთვევაში, აღნიშნავს, რომ 2018 წლის 26 იანვარს თბილისი საქალაქო სასამართლოში ნ. მ.-ს დაზუსტებულ სარჩელში მოპასუხე მხარეებად მითითებულია იადა არსენიშვილი და აგრეთვე, შპს „ნ.-ის" ბაზრის დირექტორი, რის საფუძველზეც სასამართლოში წარმოება გაგრძელდა აღნიშნული მოპასუხეების მონაწილეობით. 2018 წლის 18 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში იმსჯელა, როგორც ა. ა.-ს, აგრეთვე, მეორე მოპასუხის შპს „ნ.-ის" ბაზრის დირექტორის მიმართ ნ. მ.-ს მიერ წარდგენილ პრეტენზიებზე (თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება - ს.ფ.337).

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატ ნ. ი.-ს მიერ ნ. მ.-ს წარმომადგენლობის შეწყვეტას ისეთ გარემოებებში, როდესაც, ის უძლური იყო მიემართა სხვა ადვოკატისთვის, საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ნ. ი.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმესთან დაკავშირებით, 2018 წლის 23 იანვარს წარადგინა წერილობითი განცხადება, სადაც მოუთითა, რომ ის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, იხსნიდა წარმომადგენლობის პასუხისმგებლობას, რაც ცნობილი იყო ნ. მ.-სთვის (ს.ფ.233). აღნიშნულის თაობაზე, ელექტრონული ფოსტით, ადვოკატმა ნ. მ.-ს გაუგზავნა შეტყობინება, სადაც მიუთითა, რომ მისთვის ზეპირი ფორმით, 2018 წლის 20 იანვრიდან უკვე ცნობილი იყო, რომ ის იხსნიდა მარწმუნებლის უფლებამოსილებას მის საქმესთან დაკავშირებით და გაეუქმებინა მის სახელზე გაცემული მინდობილობა. ამავე დროს, განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაზუსტებული სარჩელი მოპასუხე ა. ა.-ს მიმართ მასთან შეთანხმებით წარუდგინა სასამართლოს და თუ მას სურდა შეეცვალა ის, შეეძლო სასამართლოდან გამოეთხოვა დაზუსტებული სარჩელი (განცხადება - ს.ფ.11, საფოსტო გზავნილი - ს.ფ.12).

5.11 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატს აქვს უფლება შეწყვიტოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა თავისი ინიციატივით, თუმცა მას ასეთ შმეთხვევაში, არ აკისრია პროფესიული პასუხისმგებლობა. კერძოდ, ადვოკატმა ისეთ ვითარებაში უნდა შეწყვიტოს საადვოკატო

მომსახურება, რა დროსაც, კლიენტს ექნება გონივრული შესაძლებლობა მიმართოს სხვა ადვოკატს დახმარებისთვის და შესაბამისად, საფრთხის ქვეშ არ დადგეს კლიენტის ინტერესები, მათ შორის, სასამართლოში საქმისწარმოების მიმდინარეობის დროს, კლიენტი საქმის სასამართლო სხდომის განხილვისას, არ დარჩეს წარმომადგენლობის გარეშე.

5.12 ადვოკატ ნ. ი.-ს მიერ წარმომადგენლობის შეწყვეტის შემდგომ, ნ. მ.-ს საქმესთან დაკავშირებით,მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2018 წლის 28 თებერვალს. შესაბამისად, სხდომის გამართვამდე საჩივრის ავტორს ჰქონდა გონივრული ვადა იმისათვის, რომ მიემართა სხვა ადვოკატისთვის. იმ გარემოებას, რომ ნ. მ.-ს ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა სხვა ადვოკატის მომსახურებით, მოსამზადებელი სხდომის გამართვამდე, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლო სახელმწიფო ხარჯზე მისი უფლებების დაცვის მიზნით, ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით (2018 წლის 23 თებერვლის განცხადება - ს.ფ. 292), რის საფუძველზეც დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა და ნ. მ.-ს დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე, რის შემდგომაც, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. საჩივრის ავტორის ინტერესებს დღემდე წარმოადგენს ადვოკატი უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

5.13 კოლეგია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული პრეტენზიები არ იძლევა საკმარის დასაბუთებულ ვარაუდს, იმისათვის, რომ შეფასდეს ადვოკატ ნ. ი.-ს მერ კვალიფიციურობის პრინციპის და კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას პროფესიული პასუხისმგებლობის შესაძლო დარღვევა.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №120/18 ადვოკატ ნ. ი.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/